სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 22 0000959314

29/08/2022

"სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების განრიგის შესახებ" სტუ-ის რექტორის 2022 წ ლის 5 აგვისტოს N877259 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნაწილობრივ შეიცვალოს "სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების განრიგის შესახებ" სტუ-ს რექტორის 2022 წლის 5 აგვისტოს N877259 ბრძანების შემდეგი პუნქტები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული **გამოცდა უცხო ენაში** ჩატარდეს 2022 წლის 12 სექტემბერს (ნაცვლად 7 სექტემბრისა), სტუ-ის I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში (დარბაზი - 2, პირველი სართული; დარბაზი -1, მე-6 სართული), კოსტავას ქ. N68; ამავე პუნქტში ფაკულტეტის დასახელება იკითხებოდეს როგორც სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი.

ბ) ბრძანების 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

უცხო ენაში გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 13 სექტემბერს, სააპელაციო განაცხადებები მიიღება 2022 წლის 12 სექტემბრიდან 14 სექტემბრის 12^{00} საათამდე გამოცდის ჩატარების ადგილზე. საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 15 სექტემბერს;

გ) ბრძანების 5 პუნქტით განსაზღვრული **სასპეციალიზაციო გამოცდების საბოლოო შედეგები (აპელაციის შემდეგ)** გამოცხადდეს 2022 წლის 15 სექტემბერს (ნაცვლად 14 სექტებრისა) და იმავე დღეს განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

2. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქმის წარმოების დეპარტამენტმა;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან